

საქართველო



იმისთანა წმინდა საცემში, ბოგბოღ ბეჭდ-
უბი სიფყვას, ცყდილებით და ჭბრბით ბუბ-
თის გაცანა ყელა უჯდბისბბაგ უსბბაგლსია.



ბაგოდის 1918 წლის
25 ივლისიდან

რესპუბლიკა

პარასკევი, 6 ნოემბერი. 2018 წ. №223 (8624)

ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ფასი 60 თათრი

ყველა განაწყენებული გასაგონად!

ბიძინა ივანიშვილი:

**დღეს ჩვენს
პირისპირ
რევანუსთვის
გაერთიანებული
მოქალაქეები
დგანან**



3

ჩვენ ქართული

საქართველო გვინდა

- უარი, უარი, უარი - მოქალაქე ნაცვებს!
- ჩვენს ქართულაებს!
- ქუთათურაგო, მერაგდენედ უნდა დაგდიოდე თავჩაქინდრული?
- ყონად, სპანეგო!

4

დღის მონოღაბა

**მეტი და მეტი ყურადღება
ხალხის გულისხმას!**

ჩვენს ამომრჩეველს უკვე თითქმის ოცდაათწლიანი გამოცდილება აქვს, რომ ყოველი ახალი არჩევნების წინ ყურთასმენის წამლებად ესმის სიგყვა ბარაქიანი, მაგრამ, სამ-წუხაროდ, მალევე წინ ხვდება საქმე გალახიანი. ამიგომ არის, რომ ამომრჩეველი ბოლო ხანს უკვე სიფრთხილეს იჩენს საარჩევნო ყუთთან. რასაკვირველია, ხალხს არც ის დავიწყებია, როგორ აშავდღევეს ნაციონალებმა მთელი ცხრა წელიწადი. თუმცა, ვერც „ოცნებამ“ მოაყოლა წინასაარჩევნო ბარაქიან სიგყვას საქმეც ბოლომდე ბარაქიანი. რის არცთუ სახარბიელო შედეგი პირველმა გურმაც აჩვენა.

ამიგომ დღეს ყველა პარტიისგან უხვი დაპირებებით კარგა გვარიანად „დანაყრებულ“ ხალხს ცარიელი სიგყვებისა და დაპირებების აღარ სჯერა და თუნდაც მცირე კეთილდღეობის „გემოს გასინჯვას“ ითხოვს.

მრავლად დაბრძოლილ სოსიალურ პრობლემათა შორის ერთ-ერთია ჩვენი ახალბაგრ-ღობის სწავლა-განათლებლისა და დასაქმების დღემდე გაღაურალი პრობლემა. ბევრი სტუდენტი სწავლის გაღასახადის გაღაურდღობის გამო უმადლესი სასწავლებლის გარეთ არის ღარ-ჩენილი, ბევრსაც დაუსაქმებლობის გამო უსხოეთში გასაქმებვად უჭირავს თვალი.

ხელისუფლებამ უახლოეს დროში უნდა მიხედოს ამ პრობლემას, თუ გვინდა, რომ ჩვენი ახალბაგრღობა უფრ მეთინებებებად არ ვაქციეთ.

**უსაფუძვლო,
დაუსაბუთებელი
ბრძლებები**

**ბაგონი ლალო
ქირიან
სტაგინის
საასუსოლ**

5

ამერიკელი სამხედრო ანალიტიკოსი:

**მესმის, ქართველები
და უკრაინელები
საფრთხეს ბრძნობენ,
მებრამ ეს ჩვენი
პრობლემა არაა...**

8

ჩვენი კულტურის უდიდესი შენაძენი

გია ჯონთაბერიძე:

**ცხოვრება წინაა,
მუზეუმის
კოლექცია კიდეც
უფრო მეტად
შეივსება!**



6

7



ახოლონ ქუთათელაქე. თამარის ლაშქრობა.

ბიძინა ივანიშვილი:

ღღას ჩვენს პირისპირ რევანშისტობის გაერთიანებული მოქალაქეები ღბანან

პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ ბიძინა ივანიშვილმა გუშინ საზოგადოებას მიმართა:

„მინდა, მივმართო ჩემს ხალხს! მინდა, მივმართო იმ პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, რომელიც მაკისრია თქვენს წინაშე!

პირველ რიგში, მადლობა მათ, ვინც კიდევ ერთხელ გამოგვიცხადებთ ნდობა, მადლობა იმ ადამიანებს, ვისაც, ბევრი პრობლემის მიუხედავად, სჯერა ჩვენი არჩეული გზის!

მაგრამ დღეს ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია მივმართო მათ, ვინც გულგატეხილია!

მინდა, გითხრათ, რომ მე კარგად მესმის თქვენი! მესმის თქვენი გულისტკივილის და იმედგაცრუების;

მესმის, რომ უკმაყოფილონი ხართ, რადგან მნიშვნელოვნად არ გაუმჯობესდა თქვენი ყოფა;

მესმის, რომ უკმაყოფილო ხართ, რადგან ფიქრობთ, რომ ზოგიერთი მოხელე, ხალხზე ზრუნვაზე მეტად, პირად კეთილდღეობაზე ზრუნავს;

უკმაყოფილონი ხართ, რადგან ფიქრობთ, რომ დღევანდელმა ხელისუფლებამ ვერ მოახერხა სამართლიანობის აღდგენა;

გავრი თქვენგანი გაბრაზებულია, რადგან დასაშვები გახდადეთ მოქალაქე რაშიმის დაბრუნების საფრთხე.

ღღას არ ვაპირებ ვინაშეც არც იმ 9-წლიან რეჟიმზე, რომელმაც ფაქტობრივად გათავისუფლებულია უფლება, ყველა ღირსება, და ეს გავრცობს თქვენგანსა და საკუთარ თავსა და ოჯახსა იწვინა.

და არც ჩვენს მიღწევებსა.

ღღას ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი სამშობლო ისევ ისტორიულ გზაგასაყართან ღღას – არსებობს მცდარი გადაწყვეტილების მიღების მაღალი რისკი, მაგრამ ამავე დროს, ეს არის ახალი შესაძლებლობების, განახლების საშუალებები.

რამდენიმე თვის წინათ მომიხდინა პოლიტიკაში დაბრუნება. მომიხდინა, რადგან ვხედავდი, რომ პრობლემები ღღამავდებოდა და მათზე რეაგირების ეფექტური მექანიზმი არ არსებობდა. თუმცა აღმოჩნდა, რომ ხალხი კიდევ უფრო ღღამად და ნათლად ხედავდა ამ პრობლემებს. ღღას არ შემიძლია არ დაგათანხმოთ.

თუმცა, ერთი რამ ყველას უნდა გვახსოვდეს!

ჩვენი მოწინააღმდეგე არ არის პოლიტიკური პარტია. ღღას ჩვენ წინ, ჩვენ პირისპირ, სამშუხაროდ, ისევ რევანშისტობის გაერთიანებული მოქალაქეები ღღანან. ჩვენ ვდგავართ განსაცდელის წინაშე და ეს განსაცდელი ჩვენ დაუშვებია.

როცა ხელისუფლება შორდება ხალხს, ის კარგავს ხალხის ნდობას, და ახლა მინდა, ვთქვა ყველას გასაგონად:

ჩვენი პოლიტიკური გაერთიანება არსებობს მხოლოდ ხალხის მსახურებისთვის. არავინ იფიქროს, რომ პარტიას რაიმე თავისთავადი ღღებულება გააჩნია. იგი არის საშუალება, რომლითაც უნდა მივალწიოთ უზენაეს მიზანს – ხალხის უკეთეს მომავალს. ამიტომაც, თუ „ქართული ოცნე-



ახლა მთავარია, ხელისუფლებასა და ცალკეულ ჩინოვნიკებს გაბრაზებულებმა, ხელისუფლების დასჯის სურვილით, საკუთარი მოგავალი და საკუთარი ქვეყანა არ დაგვაროთ და არ გადაყაროთ წყალში ყველაფერი, რაშიც 2012-ში სიცოცხლე ჩავდეთ.

„ვინც ვერ მუშაობს, თუ მისმა რომელიმე შტომ ხალხის მსახურებაში არ ივარგა, მე პირველი წავალ მათ წინააღმდეგ. მაგრამ არ შეიძლება, მივცეთ საშუალება ამ შეცდომებით ისარგებლოს ძალამ, რომელსაც სინამდვილეში ყველა იმ ღღებულების მოსპობა სურს, რომელიც ასე ძვირფასია ჩვენთვის. ამ შეცდომებს სწორი დანახვა და კრიტიკა უნდა. ოპონენტები კი სრული სიმძლავრით ჩართული სიცრუის მანქანით ცდილობენ ყველაფრის გადახაზვას. მათ შეცდომების გასწორება არ სურთ! მათ ყველაფრის დაგრევა უნდათ და, რაც ყველაზე სამწუხაროა, ნებისმიერ ფასად!

ოპონენტები მხოლოდ ტყუილზე დაფუძნებულ კამპანიას ატარებენ. ხალხს ურცხვად პირდებიან იმას, რაც საპარლამენტო წყობაში საპრეზიდენტო უფლებამოსილებას სრულად სცდებდა და, ამავე დროს, ღღად გვიანონსებენ ადამიანის წამებასა და ჩაგვრაში ბრალდებულების გათავისუფლებას, რაც საზოგადოების შეურაცხყოფის გარდა, პირდაპირ დესტაბილიზაციის საფრთხის მატარებელია.

2012 წელს ჩვენ მოვიშორეთ ძალადობაზე დაფუძნებული რეჟიმი. გავიარეთ ურთულესი პერიოდი და თან ვცდილობდით, ქვეყანა სტაბილური განვითარების რელსებზე გადაგვეყვანა.

ამ გზაზე ბევრ მნიშვნელოვან წარმატებასაც მივალწიეთ:

სახელმწიფო რეკეტისგან გათავისუფლება ბიზნესი, თავისუფალია მედია, განხორციელდა არაერთი უმნიშვნელოვანესი სოციალური პროგრამა; ურთულეს ეკონომიკურ გარემოში მოვიპოვეთ რეგიონული ღღებულება და მრავალი სხვა.

საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენი ამერიკელი და ევროპელი მეგობრები სულ უფრო რეალურ პერსპექტივაში განიხილავენ ჩვენი ქვეყნის ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრირებას.

უამრავი რისკის მიუხედავად, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველოს არასდროს ჰქონია ასეთი სტაბილური განვითარების წლები.

და მიუხედავად ამ წარმატებებისა, ქვეყანაში მთავარ გამოწვევად რჩება არსებული სიღატაკი. შესაბამისად, ჩვენ გვჭირდება გადამწყვეტი ცვლილებები, პირველ რიგში, სოციალურად ყველაზე მგრძობიარე ჯგუფებისთვის. ბევრი პოპულისტისგან განსხვავებით, ბუნებრივია, არ ვისაუბრებ კონკრეტულ ციფრებზე, მაგრამ აუცილებლად ვიტყვი, რომ პენსიონერებისა და დევნილების შემწეობები და დახმარებები რადიკალურად უნდა გადაიხედოს! მათზე ზრუნვა ჩვენი ღღებულების საქმეა და ჩვენ ეს უნდა შევძლოთ!

სასწრაფოდ უნდა შეიცვალოს საკადრო პოლიტიკა, რომელიც დაეფუძნება გამოცდილ ადამიანებს და მუდმივად მოიზიდავს ახალ კადრებს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს. ახალგაზრდები უნდა ჩაერთონ ქვეყნის მართვასა და პოლიტიკის შემუშავებაში!

ჩემო მეგობრებო, ქვეყნის ცხოვრებაში დგება ხოლმე გარდამტეხი მომენტები, როდესაც ხალხი ხდება ეპოქალური ცვლილებების ავტორი და ჩვენ ვრს ასეთი სიბრძნე არაერთხელ გამოუჩენია.

მინდა, მივმართო „ქართული ოცნების“ ძველ გვარდიას, მათ, ვინც შეუძლებელი შეძლეს 2012 წლის იმ ისტორიულ დღეებში: საქართველოს კიდევ ერთხელ დასჭირდა თქვენი ერთგულება და გამოცდილება, თქვენი სამოქალაქო გმირობა. მე ვიცი თქვენი გულისტკივილი, მე ვიცი თქვენი გაბრაზების ყველა მიზეზი. გაძლევთ პირობას, რომ ყველა პატრიოტი იპოვის საკუთარ ადგილს თავისი დამსახურების მიხედვით ჩვენს ერთიან ოჯახში, არავის ღღანლი არ დარჩება უყურადღებოდ!

მინდა, შეგახსენოთ, რაც არჩევნებამდეც განვაცხადე – მე ვიღებ პასუხისმგებლობას, რომ ერთ წელიწადში გავანსორო მართობის ყველა ხარვეზი და მთელი ჩამი რისკის გამომვიყვანო, რომ ქვეყნის განვითარება შეუძლებელი გახდეს.

ახლა მთავარია, ხელისუფლებასა და ცალკეულ ჩინოვნიკებზე გაბრაზებულებმა, ხელისუფლების დასჯის სურვილით, საკუთარი მომავალი და საკუთარი ქვეყანა არ დაგვაროთ და არ გადაყაროთ წყალში ყველაფერი, რაშიც 2012-ში სიცოცხლე ჩავდეთ.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ არჩევანს გავაკეთებთ ჩვენი ხალხის კეთილდღეობის, თავისუფლების, ღღებულების დასაცავად და ერთად შევძლებთ ადამიანზე ორიენტირებული, თანამედროვე საქართველოს შენებას!“ – ნათქვამია განცხადებაში.



ბია ჯოხთაბერიძე: სსოპრება წინაა, მუზეუმის კოლექცია კიდე უფრო მეტად შეივსება!

– ბატონო ბია, თავდაპირველად, თუ შეიძლება, ახალი მუზეუმის თვით შენობაზე გვიამბოთ, რომელიც ასე ორგანულად ჩაჯდა დედაქალაქის გულის არქიტექტურულ ანსამბლში.

– მოგესხენებათ, ნებისმიერი შენობის დაპროექტებისას მისი ფუნქცია, დანიშნულება გასათვალისწინებელი. მეორე უმნიშვნელოვანესი გარემოება კი, რომელიც არქიტექტორმა უპირობოდ უნდა გაითვალისწინოს, მისი ადგილმდებარეობაა, უკვე არსებული ისტორიული გარემო. საქართველოს გეოგრაფიული ადგილმდებარეობა მას მსოფლიოში უდიდესი ევრაზიის რეგიონის აღმოსავლეთ-დასავლეთისა და ჩრდილოეთ-სამხრეთის უმნიშვნელოვანეს გზაჯვარედინად აქცევს, სადაც უამრავი სხვადასხვა ერის მშვიდობიანი თუ დაპირისპირებული ურთიერთობა საუკუნეთა მანძილზე მიმდინარეობს. ამან კი, თავის მხრივ, ბუნებრივია, კვალი დაამჩნია ქართველი ხალხის შეგნებასა და ხასიათს, ასევე მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა სამაშულო კულტურაზე, კერძოდ არქიტექტურაზე.

რაც შეეხება თავად სახვითი ხელოვნების მუზეუმის ადგილმდებარეობას რუსთაველის პროსპექტზე, უპირველესად, გასათვალისწინებელი მისი უახლოესი „სამეზობლო“, სხადასხვა სტილის შენობა-ნაგებობები იყო, რომლებიც იშვიათ თავსებადობას ქმნიან. ახალი შენობა რუსთაველის პროსპექტის ისტორიულად ჩამოყალიბებულ არქიტექტურულ ანსამბლს ისევე ორგანულად უნდა მორგებოდა, როგორც საქართველოში, კერძოდ კი თბილისში საუკუნეთა მანძილზე სხვადასხვა კულტურული მენტალიტეტის ხალხი ერთ დიდ ძმურ ოჯახად თანაარსებობს. იმის წარმოსადგენად, თუ რაოდენ რთული ამოცანის გადაწყვეტის აუცილებლობის წინაშე აღმოჩნდნენ ქართული სახვითი ხელოვნების ახალი მუზეუმის არქიტექტურული პროექტის შემქმნელები, მისი სამეზობლო შენობების უბრალო ჩამონათვალიც კმარა: მოპირდაპირე მხარეს საქართველოს პარლამენტის შენობაა, რომლის ერთ გვერდზე კავკასიის ყოფილი მთავარმართებლის, ამჟამად კი ეროვნული სასახლეა, მეორეზე თბილისის კლასიკური გიმნაზიაა, უშუალოდ მის გვერდით კი ჯერ კინოთეატრი „რუსთაველია“, რომლის გვერდით ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს ისტორიის მუზეუმი, მეორე მხარეს კი ქაშვეთის ეკლესია, შემდეგ ეგრეთ წოდებული „ცისფერი გალერეა“, სასტუმრო „თბილისი“ და რუსთაველის თეატრია. თუკი მკითხველი გონებაში მთელ ამ არქიტექტურულ პანორამას და ახლად აგებულ მუზეუმს ერთად წარმოიდგენს, დამეთანხმებით, რომ იგი საკვებით ორგანულად შეერწყა ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოს.

„სხვა საკითხია, ვინმეს მოსწონს თუ არა, მაგრამ ეს პირობითია. ამაზე საზოგადოება ვერასოდეს ვერ შეთანხმდება, მღვდლისა და მისი ცოლისა არ იყოს... უფრო მნიშვნელოვანია შენობის დანიშნულება.

სახვითი ხელოვნების ახალი მუზეუმის შენობის ფასადი ბოლნისის ღია მწვანე ტუფის ქვითა და კურსების ნაცრისფერი გრანიტითაა მოპირკეთებული, გუდიაშვილის ქუჩიდან კი ბოლნისის ყვითელი ტუფითა და ბაზალტითაა განწყობილი. გარდა საზეიმო არქიტექტურისა, გვინდოდა რომ ახალი მუზეუმის ფასადი რაღაც განსაკუთრებული სიმბოლოთი დაგვემშვენებინა, რომელიც თავად მისი გარკვეულწილად სავიზიტო ბარათიც გახდებოდა და, ვფიქრობ, არ შეცდებით, როცა ასეთ სიმბო-


ბატონი ბია, თქვენს კულტურულ ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი მოვლენიდან – თანამედროვე სახვითი ხელოვნების მუზეუმის გახსნიდან ერთ თვეზე მეტი დრო გავიდა.

საქართველოს თანამედროვე ისტორიაში ამ უდავოდ ეპოქალური მოვლენის მთავარი შემოქმედი და სულელჩამდგმელი, ცნობილი ბიზნესმენი და ქველმოქმედი, კომპანია მაგთის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გია ჯოხთაბერიძე გახლავთ. ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმის მთელ ფონდს კი, არსებითად მეუღლესთან, ქალბატონ მა-

ნანა შევარდნაძესთან ერთად წლების მანძილზე დიდი რუდუნებით, უზადო მხატვრული გემოვნებით შეგროვილი მხატვრული ტილოებისა თუ ქანდაკებების პირადი კოლექცია წარმოადგენს.

ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმის შესახებ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ჯერ კიდევ მის გახსნამდეც ბევრს ვწვდიდით, თუმცა კი თემა იმდენად ვრცელდა და საინტერესო, რომ 26 სექტემბერს მის საზეიმო გახსნაზე რედაქციის ხელმძღვანელობამ ბატონ გია ჯოხთაბერიძეს თხოვნით მიმართა, რომ ამ დიდებული მოვლენის

შესახებ კიდევ უფრო მეტი ინფორმაცია მიგვეწოდებინა ჩვენი მკითხველისთვის. საქმე კი ისაა, რომ ჯერ კიდევ მუზეუმის მშენებლობის დროს, მან უკვე გარკვეული სახელიც გაითქვა და ავტორიტეტიც კი მოიპოვა იმ დონეზე, რომ ხალხმა მას „შინაურულად“ „ჯოხთაბერიძის მუზეუმი“ შეარქვა. ბატონი გია ამ თხოვნის შესრულებას მაშინვე დაგვიპირდა, ოღონდ ცოტა ხნით „ტაიმ-აუტი“ ითხოვა და აი, ახლა დანაპირები პირნათლად შეასრულა და რედაქციის რამდენიმე კითხვასაც უპასუხა.



ლოდ ჩვ.წ.ალ-მდე II-I საუკუნეებით დათარიღებული, დასავლეთ საქართველოში, ვანის მახლობლად არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი არწივის ქანდაკება შევარჩიეთ. ეს მართლაც რომ მეფე-ფრთოსანი თავისი არტისტიზმით და მედიდურობით, ამავე დროს საოცარი კეთილგანწყობით, ჭეშმარიტად ქართული ხასიათის განსახიერებაა, რომლის გაშლილი ფრთები გულდია მასპინძლის მიერ სტუმრის მუზეუმში მიპატიჟების სიმბოლური შესტია.

– იმის მიუხედავად, რომ ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმში დიდი ხნის გახსნილი არ არის, იგი უკვე მრავალმა როგორც თბილისელმა ისე დედაქალაქის ადგილობრივმა თუ უცხოელმა სტუმარმა მოინახულა და, ცხადია, იქ გამოფენილი მხატვრული ტილოებთან თუ ქანდაკებებთან ერთად, აღფრთოვანებულია მის ინტერიერში გამოყენებული თანამედროვე კომპოზიტიური მასალების უზადო გემოვნებით შესრულებული შენამებით. რას იტყვით მუზეუმის შიდა მოწყობაზე?

– მის ინტერიერში თანამედროვე სამშენებლო მასალების უახლესი ნიმუშებია გამოყენებული – ეს ესება

როგორც საგამოფენო დარბაზებს, ასევე საცავებს, განათების, კონდიციონერებისა და ვენტილაციის, გათბობისა და იზოლაციის სისტემებს.

მუზეუმის შენობა მრავალფუნქციური კომპლექსია, რომელშიც კაფეები, რესტორნები, ლაუნჯ-ბარი, ბუტიკებიც განთავსებული. ასევე არის საკონფერენციო დარბაზი, ცვალებადი ექსპოზიციებისთვის განკუთვნილი საგამოფენო სივრცე, საცურაო აუზი, სპორტული დარბაზი, მინისქვეშა ავტობარკინგი. ყველა აღნიშნული კომერციული ობიექტის მოღვაწეობის შედეგად მიღებული შემოსავალი მუზეუმის შენახვასა და ქართველ მხატვართა ქმნილებების პოპულარიზაციას მოხმარდება.

– როგორია ახალი მუზეუმის მუდმივი ექსპოზიცია და რა ნამუშევრებია მოთავსებული საცავებში?

– სადღეისო მდგომარეობით, ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმის კოლექცია 3 500 ნამუშევარს მოიცავს, ხოლო საგამოფენო დარბაზებში ამჟამად 1335 ნამუშევარია წარმოდგენილი.

– მათ ავტორთა შესახებ რას იტყვით?

– ზოგადად თუ განვსჯით, მხატვრები უაღრესად სათუთი ბუნების ხალხია, თანაც თითოეული მათგანი ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავებული ხასიათის პატრონია, რაც, უწინარესად, მათ ნამუშევრებში აისახება. ყოველი მათგანი სამყაროს თავისებურად ხედვას, აღიქვამს და გადმოსცემს, ამდენად მათთან ურთიერთობა მარტივი სულაც არ არის.

საყოველთაოდ ცნობილი ამბავია, რომ სხვადასხვა მხატვრების სხვადასხვა ქმნილებას განსხვავებული ფასი აქვს, რასაც ამა თუ იმ შემოქმედის ნამუშევრებზე საბაზრო მოთხოვნა განაპირობებს, რაც მათ გარკვეულ რანჟირებას ახდენს. ჩვენთან კი მხატვრების კლასიფიკაცია, მათი რეიტინგი ჯერ ჩამოყალიბებული არ არის, ამდენად, ხასიათის ცვალებადობის გამო მათთან მოლაპარაკებათა წარმოება საკმაოდ რთული საქმეა. ასევე მარტივი არ არის მათი ნდობის მოპოვება.

ამასთან დაკავშირებით, მხატვრის ერთგვარი „ექვიანობის“ თაობაზე ერთი ამბავი მასხენდება. მას შემდეგ



საგამოფენო დარბაზი.

იხნობლეთ, თანაბედროვე სიფჰვითიკვლეუბი, ანუ ყიამყრალუბი!

„ქართული ოცნების“ ნაპრი რას არ უნდა ჩამხუტოს, ქოსვირუსი არ გადაამედეა!

„ქართული ოცნების“ წევრი რაც არ უნდა ჩამხუტოს, ქოსვირუსი არ გადაამედეა, — ამის შესახებ ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა რომან გოცირიძემ ჟურნალისტებს განუცხადა. მისი თქმით, დღეს „ქართული ოცნებისთვის“ მნიშვნელოვანი დღეა, რადგან პარტიის წარმომადგენლები ხალხთან შეხვედრებს გეგმავენ.

„ორშაბათიდან ვინცებთ ჩახუტებას, მოფერებას, გულთან მიტანასა და გაგებით მოკიდებასო. ანუ, მათ უნდათ, ჩახუტებით ხალხს ქოცის ვირუსი გადასცენ, მაგრამ ნურას უკაცრავად. თავი დავიზღვიეთ და დეპუტატი რაც არ უნდა ჩამხუტოს, ქოსვირუსი არ გადაამედეა. გაფრთხილებთ, ქოცინაობა გადადის არა მხოლოდ ფიზიკური კონტაქტით, არამედ ტელეეკრანებიდან და ზოგიერთი არხი ქოცინაობას ასხივებს. გირჩევთ, გამოართოთ და ქართული სტაფილოს წვენი გაიწმინდოთ“, — „იხუმრა“ რომან გოცირიძემ.



...ქურდს ფაქტზე რუმ ნაასრებენ და იხვენება, ამ ერთხელ მაპატიეთო...

ივანიშვილს დღეს ისეთი სახე ჰქონდა, ქურდს ფაქტზე რომ წაასრებენ და იხვენება, ამ ერთხელ მაპატიეთო, — ამის შესახებ საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილის მიმართ ვასთან დაკავშირებით განაცხადა. როგორც სააკაშვილი გავრცელებულ ვიდეოში აღნიშნავს, ბიძინა ივანიშვილს სრიკები დაუძველდა.

„ბიძინა, აქამდე კი გატყუებდითო, მაგრამ ახლა ძალიან მჭირდება რომ დამიჯეროთო... თან კარგად მოვიქცევით, თან კრიმინალური „ავტორიტეტები“ მთელს ქვეყანაში ხალხს დაატერორებენ და ამაზე თვალი დახუჭეთო... სრიკები დაგიძველდა, ბოროს!“...



ლევან ბერძენიშვილი: ზურაბიშვილის დაპარტისების რაპული შანის ხელიდან გაშვება არ უიძლეა

რესპუბლიკური პარტიის წევრი ლევან ბერძენიშვილი Facebook-ში განმარტავს არჩევნების მეორე ტურში „ძალა ერთობაშიას“ კანდიდატის გრიგოლ ვაშაძის მხარდაჭერას.

„როგორც ვატყობ, რესპუბლიკური პარტიის გადაწყვეტილებას, მხარი დაუჭიროს გრიგოლ ვაშაძეს, მოჰყვა კარგად ორგანიზებული გამომხატურება, რომლის მესიჯოქსში, ძირითადად, სამი შეტყობინება დომინირებს: „ბოდიში“, „პორტირება“ (მისი მოადგილე „მიგრაციით“) და „ზნობა“. ქართული ოცნების იდეოლოგები მოსახლეობას არწმუნებენ, რომ 1. სააკაშვილმა ბერძენიშვილს ბოდიში მოუხადა და ეს რესპუბლიკურ პარტიას ისე გაუხარდა, რომ ვაშაძეს დაუჭირა მხარი; 2. რესპუბლიკელები პორტირებულები არიან ქართული ოცნებიდან ნაციონალურ მოძრაობაში; 3. რესპუბლიკელები უზნეოები არიან.

რესპუბლიკურმა პარტიამ, როგორც ოპოზიციურმა პარტიამ, სერიოზული შიდაპარტიული მსჯელობის საფუძველზე დაუჭირა მხარი ოპოზიციის კანდიდატს. ეს გასაოცარი არ არის, გასაოცარი ის იქნებოდა, ოპოზიციურ პარტიას სახელისუფლებო „დამოუკიდებელი“ კანდიდატისთვის რომ დაუჭირა მხარი; კიდევ უფრო გასაოცარი იქნებოდა, პარტიას ხალხისთვის მოენოდებინა, არც ერთ კანდიდატს არ დაუჭიროთ მხარი და არჩევნებზე არ მიხვიდეთო, ანუ პოლიტიკური თვითიკვიდაცია გამოეცხადებინა. ბოდიშის მოხდა სწორი იყო და მე ეს მესიამოვნა, მაგრამ გადაწყვეტილება პარტიამ ახალი პოლიტიკური რეალობის მიხედვით მიიღო — ზურაბიშვილის დამარცხების რეალური შანის ხელიდან გაშვება არ შეიძლება...

კარგა ხანია გასული, მხატვართა ჯგუფური გამოფენის ერთ-ერთი ცნობილი შემოქმედის ნამუშევარი მომენონა და შევთავაზე, ჩემთვის მოეყიდა. „შენ ამის ფასს ვერ გასწავდი“, — მიპასუხა და მართლაც ასტრონომიული ციფრი დამისახელა. ერთი სიტყვით, ფასზე ვერ შევთანხმდით და გარიგებაც არ შედგა. ამის შემდეგ კი უკვე თავად დამიკავშირდა და იმ ნამუშევარში... ოთხჯერ მეტი თანხა მოითხოვა — აქაოდა, ჩემს შვილს იტალიაში ბუტიკის შექმნა უნდაო. გამეცინა და ვუპასუხე — კიდევ კარგი, რომ თქვენმა შვილმა ხმელთაშუა ზღვაში კუნძულის ყიდვა არ მოითხოვა-მეთქი. ის ნახატი, რაღა თქმა უნდა, არ შევიძინე, თუმცა კი მოგვიანებით ამ მხატვრის ნამუშევრების უდიდესი ნაწილი ერთიანად ვიყიდე. ჩვენ დღესაც ვმეგობრობთ — მუზეუმში მის ნამუშევრებს მთელი დარბაზი აქვს დათმობილი.



ლევან ცუცქერიძე, მაჩრიონი.

— ასეთი მარტო ერთეული შემთხვევა იყო? — რა თქმა უნდა, არა. თანაც საქმე კიდევ უფრო რთულდება, როცა გარდაცვლილი შემოქმედის ოჯახის წევრებთან გინევს მოლაპარაკება მისი დანატოვრის შექმნის თაობაზე. როცა თავად მხატვარი გარკვეულად არარაციონალური, ეს ცალკე საკითხია, მაგრამ ყველაფერი გაცილებით რთულდება, როცა ასეთივე არარაციონალობით მისი შთამომავლები, შემოქმედის მემკვიდრეები გამოირჩევიან, რასაც გარდაცვლილ მხატვრის მიმართ სენტიმენტალური გრძნობები ემატება. ასეთი მოლაპარაკებები, როგორც წესი, დიდხანს გრძელდება და, სამწხაროდ, ხშირად უშედეგოდ მთავრდება ხოლმე.



ნათელა იანაოშვილი. მარია ბაუშის პორტრეტი.

— როგორია მუზეუმში დაცულ ნამუშევართა სტრუქტურა? — ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმში დღესდღეობით 83 მხატვრის ნამუშევრებია შეგროვილი, ძირითადად 1945 წლიდან მოყოლებული ჩვენს დრომდე. თუმცა კი რამდენიმე ტილო კიდევ უფრო ადრინდელია და 1918, 1921 და მომდევნო წლებით თარიღდება. მაგრამ, ვიმეორებ, ასეთები მხოლოდ ერთეულებია.

ლი ყველა მოლაპარაკება წარმატებული რომ ყოფილიყო? — რამდენიმე მხატვრის შემოქმედებაზე განსაკუთრებით მწყდება გული. ზოგიერთ მათგანთან ვმეგობრობდი კიდევ. ვწუხვარ იმაზე, რომ თავის დროზე მათი ნახატები მეტი ოდენობით არ შევიძინე, ასე რომ მოვექცეულიყავი, მუზეუმის კოლექცია გაცილებით უფრო დიდი და სრულყოფილი იქნებოდა. მაგრამ, ცხოვრება კიდევ წინაა, ამიტომ დიდი იმედი მაქვს, რომ ყველაფრის გამოსწორების საშუალება კიდევ მოგვეცემა და მუზეუმშიც თანდათანობით შეივსება... ქვეყანას კი შეუნარჩუნდება ჩვენი დიდებული მხატვრების შემოქმედება, რომელსაც ასეთ აღფრთოვანებაში მოჰყავს მნახველი.

ესაუბრა ოთარ ტურაბაიძემ



მაგთის სტიპენდია კიდევ 11 პირველკურსულს მიენიჭა

მაგთიკომმა არც წელს დაარღვია ტრადიცია და, გასული წლების მსგავსად, ეროვნულ გამოცდებში საუკეთესო შედეგების მქონე თერთმეტი პირველკურსელი სტუდენტი 1-წლიანი სტიპენდიით დააჯილდოვა.

მაგთის ახალი სტიპენდიატები სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის, თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები გახდნენ: დევი ოიანი, ნანა როგავა, ლუკა ლამბაშიძე, ზურაბ ვაშა-

ლომიძე, ანა-მარია ჯავახიშვილი, ლუკა ლორთქიფანიძე, ანა ციმაკურიძე, სტეფანე გურგენიძე, ელიზაბეტ კელაურიძე, საბა ცერცვაძე და ტარიელ ფანჭულიძე.

მაგთიკომის მიერ გამოცემულ წიგნებთან და სხვა საჩუქრებთან ერთად, სტიპენდიატებს ინტერნეტპორტალზე გადაეცათ, რომლებიც განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობენ სტუდენტებში.

„მაგთის სტიპენდია უკვე ტრადიციადაა ქცეული და სასიამოვნო სტიმულია წარმატებული სტუდენტებისთვის, მაგთიკომი მომავალშიც გააგრძელებს განათლების მხარდაჭერის პროექტების განხორციელებას“, — აცხადებენ მაგთიკომში.



მაგთის სტიპენდიით დაჯილდოვებულნი

ქიულო

სპორტი

უნივერსალი ჯილდო

ერთი ოძროს, ორი ვერცხლისა და ამდენივე ბრინჯაოს მედლით დაასრულა უნივერსალური ასპარეზობა საქართველოს 23-წლამდე ქიუდოსთა ნაკრებმა...




გან 8 კილოში თამაზ კირაკოზაშვილმა ფინალამდე სამივე მეტოქე დაჯაბნა - აზერბაიჯანელი სამირ აგაიევი, გერმანელი ტიმო კაველიუსი და ჰოლანდიელი ჯიმ ჰეიმანი...

გიორგი გავაზა

ქალოსნობა

უპედლოდ

თურქმენეთის დედაქალაქ აშხაბადში დაწყებულ ქალოსნობის მსოფლიოს ჩემპიონატში შვიდი ქართველი ათლეტი (მთავარი მწვრთნელი ბიორტი ბასანიძე) მონაწილეობს...



შოთა მიშველიძე

(150+182), 2. მინჰაო ჰუანი (ჩინეთი) - 323 (152+171), 3. სულიო რუბენ მაიორა პერნია (ვენესუელა) - 322 (147+175)...

ჭაღრაპი

ელიტა განახევრდა

სანტი-მანსიისსპი მიმდინარე მოჭადრაკე ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატში სხვადასხვა ქვეყნის 64 წარმომადგენელი ჩაება...



ნელი მო ჟაი იქნება. წარმატებით ითამაშა ბელა ხოტენაშვილმაც - ორი პარტიის ჯამში მან ვიეტნამელი ვო თი ქიმ ჰუნგი ჩამოაშორა...

ლაზა დიდა

ლეგიონარი

უნივერსალია გალიფირდა

თორნიკე უნივერსალის „ბასკონიამ“ ესპანეთის ჩემპიონატის მე-7 ტურში მე-6 გამარჯვება იხიმა და სატურნირო ცხრილში „რეალთან“ და „ბარსელონასთან“ ერთად გალიფირდა...

აუცილებლად უნდა აღინიშნოს გეტერანი ბრაზილიელის მარსელინო უერტასის გარჯაც, რომელმაც 10 ქულას 11 პასი წაამატა და ორმაგი დუბლი შეასრულა.



ვიტალი ჯაფარიძე

ეროვნული ლიგა

ღრამა იმერეთში

ძარბაზი კლასიკო შედგა. ქუთაისში, ღრამაშენის „სტადიონზე“ ეროვნული ლიგის ფეხბურთის უჩვეულო ატმოსფერო სუფევდა - მართალია, იგი პირთამდე არ გაყვებულა, მაგრამ ბევრი ხალხი მივიდა და ეს სასიამოვნო სანახაღი გახლდათ...

თითქოს ყველაფერი გაიკვია. „ტორპედოს“ მანამდე და მერევე ჰქონდა ტერიტორიული უპირატესობა, მეტ-ნაკლებად სასიფათო მომენტებიც, მაგრამ ვერ ახერხებდა თამაშში გარდატეხის შეტანას და ნელ-ნელა ტრიბუნებზეც იკლო ხალხის რაოდენობამ...



და საპასუხოდ სასიფათოდ გადადიოდა კონტრშეტევებზე. ლევან შენგელიამ გაიტანა კიდეც ერთ-ერთ ასეთ ეპიზოდში, მაგრამ თამაშგარე დაფთვობა არაა, ძნელია იმის თქმა, ვინ უფრო ახლოს იყო კართან - მცველი თუ შემტევი...

თათურები ზეიმს მიეცნენ და შეხვედრაც დასრულდა. დრამატული მატჩი და ფრე - 2:2. ეჭვგარეშეა უფრო კმაყოფილი „ტორპედო“ უნდა იყოს, რომელმაც უიმედო თამაში გადაარჩინა და თანაც, 15-მატიანი წაუგებელი სერია გააგრძელა...

გიორგი შოთაძე

მიწოდება

პროფესორ გივი მინდელის საზოგადოების წევრები რეგულარულად თეატრში, დათო დათოშვილი, გაიოზ გალდავაძე, ბონდო ქობულაძე, ივიკო საყვარელიძე, მერაბ მანარაძე, გურამ ახრახანიძე, თამაზ ყაჭვიანიშვილი, როლანდ იოსელიანი, ჯუმბერ გონაშვილი, რეგულარულად, გია მანარაძე, თამარ ცაგავა, ვალერი ვარდოსანიძე და თამაზ გოგინაშვილი ღრმა პატივისცემითა და სიყვარულით ულოცავენ დაბადების დღეს ამავე საზოგადოების წევრს, ჩვენი ქვეყნის პარტიული და სამეურნეო ელიტური საზოგადოების ბრწყინვალე წარმომადგენელს, წყალთა მეურნეობის დარგის უმაღლეს სპეციალისტსა და მის დიდ ქომაგს, სიღქმით გრუბის თბილისის წარმომადგენლობის თავკაცს, სოფლის მეურნეობის მეცნიერების დოქტორს, პროფესორს, ძმობისა და მეგობრობის უბადლო ოსტატსა და უკეთილშობილეს პიროვნებას, ბატონ

გია რამიშვილს

6 ნოემბერი, 2018 წელი.

პოლიკულტურული დაინტერესდა

პოლიკულტურული კინომწარმოებელი კომპანიების მაღალი რგოლის მენეჯერებმა და სააგენტოს დირექტორმა მიხეილ ხიდურელმა საქართველოში კინოგადაღების პოტენციალი და შესაძლებლობები განიხილეს.



ქ. ლოს-ანჯელესში, პროგრამის „გადაღება საქართველოში“ პოპულარიზაციის მიზნით, შეხვედრები ისეთ კომპანიებთან შედგა, როგორებიცაა: Disney Studios, ABC Studios, Cable Networks, Marvel Studios, Lucasfilm, Paramount pictures, HBO

და Universal pictures. სააგენტოს დირექტორმა და პროგრამის წარმომადგენლებმა კონკრეტულ შედეგებზე ისაუბრეს და განიხილეს ყველა ის სამუშაო დეტალი, რომელიც გადაღებებს ახლავს თან, რამაც ძალიან დიდი ინტერესი გამოიწვია ამერიკული მხრიდან. თითოეული კომპანიის ხელმძღვანელისთვის ძალიან მომზიბლავი ფაქტი იყო ის, რომ სახელმწიფოს აქვს ენ „Cash Rebate“ პროგრამა, რომელიც საქართველოში დახარჯული კვალიფიციური ხარჯების 20%-დან 25%-მდე დაბრუნებას ითვალისწინებს, დაბალი გადასახადები, მოქნილი და სწრაფი პროცედურები და, რაც მთავარია, მრავალფეროვანი, ოთხი სეზონის ლოკაციები.

ფიქროთ გასართივლად სხვათაგან თქმული

გამხმარ სულს სინდისი არ ღრღინს - კბილემის დამტვერვისა ემინია.

* * * ზომი თავიანთ „ოქროს ფრთებს“ ყვითელ იხვეებს უმაღლიან.

* * * მხოლოდ ხეს მიმდგარი გალესილი მთვარეები კითხულობენ: „სად არის ჩემი სიყვარული?“

* * * გედნიერება კარზე დააკაკუნებს, უბედურება - კარს ჩამოვიღებს.

* * * თანხმობა მამაკაცური მოთმინების ერთგული მეგობარია.

* * * ძალი მუდამ სიურპრიზია, მაგრამ არა ყოველთვის - საჩუქარო.

„ვეფხისტყაოსანი“ - გზითვალ!

სამშობლო „ვეფხისტყაოსანი“ ყოველ ახალდაქორწინებულ წყვილს, საზეიმო ცერემონიის ფარგლებში, ქორწინების მოწმობასთან ერთად გადაეცემა როგორც სიყვარულის, ერთგულებისა და თანასწორობის სიმბოლო, - ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ავრცელებს. იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის ინიციატივით, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო ქორწინების რეგისტრაციის ახალ სტანდარტს წერდავს.

„იუსტიციის სამინისტრომ და სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ ალადაგინეს უძველესი ქართული ტრადიცია, რომლის თანახმადაც, ახალდაქორწინებულ ქალს ოჯახიდან მზითვად ატანდნენ „ვეფხისტყაოსანს“ - ფასდაუდებელ საუნჯეს და ახალი ოჯახის აუცილებელ ატრიბუტს.



„ვეფხისტყაოსანს“ სასაჩუქრე ეგზემპლარი გაფორმებულია ცნობილი ქართველი მხატვრის სერგო ქობულაძის ილუსტრაციებით, რომელთა ასლები გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრის ფოტოფიქსაციის ლაბორატორიაში ინახება, - აღნიშნულია სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში. ამასთან, უწყების ცნობით, დღეიდან რეგისტრაციის ქორწინებას ახალ, თანამედროვე დიზაინის ერთიანი სტანდარტით შექმნილ უნიფორმებში დაარეგისტრირებენ.

იუსტიციის სასწავლო ცენტრის ყვარლის კომპლექსში ქორწინების ცერემონიისთვის აუცილებელი განახლებული სერვისების, ინფრასტრუქტურისა და ატრიბუტიკის პრეზენტაცია გაიმართა, რომელსაც იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი ესწრებოდა.

ქორწინების საზეიმო ცერემონიისას რეგისტრაციისთვის განკუთვნილი ტანისამოსის ესკიზების ავტორი ქართველი დიზაინერი მკა ჯაფარიძეა, რომელმაც სარიტუალო მოთხოვნების გათვალისწინებით სამოსის რამდენიმე ვერსია შექმნა. ამიერიდან საქართველოში მოქმედ ყველა საქორწინო სახლში, ასევე გასვლითი ქორწინებისას, რეგისტრაციის დასრულებული და ერთიანი სტანდარტით შექმნილი სამოსი ეცმევათ.

ინტერნეტიდან

კალოსნობის სიყვარულით

სამართავლოს საფეხბურთო ნაკრების მიერ რიგაში მოპოვებულმა მშვენიერმა გამარჯვებამ გადაგვანყვეტინა, რომ დღეს თქვენთვის ლატვიელი ლამაზმანი შეგვეჩვენა, რომელიც იქაურ ფეხბურთთან იქნებოდა რაიმენაირად დაკავშირებული, მაგრამ დახეთ

ჩვენს გაცემას, როდესაც მსგავსი ვერაგინ მოვიკვლიეთ...

თუმცა, თავადაც კარგად უწყით, რომ არ გვჩვევია ჩვენი რუბრიკის მოყვარულთა გულისს ყველა. სწორედ ამიტომ წარმოგიდგინებ ბალტიისპირელ მოდელ ლუიზა სალმგრივის, რომელიც შეიძლება არ დაიჯეროთ და საპორტის სახეობებიდან ყველაზე მეტად ძალოსნობას სწყალობს, რაც გვაფიქრებინებს, რომ მას ჩვენი ლაშა ტალახაძე გაგონილიც ექნება და გულში ბადაბშივით ჩასმულიც.



შტანგისადმი სიყვარული, თურმე, მისმა ოჯახურმა ტრადიციებმა განაპირობა. ლუიზას მამაც და უფროსი ძმაც სპორტის ამ სახეობით იყვნენ დაკავებულნი და მამამისი საბჭოთა კავშირის პერიოდში ძალოსნობაში ლატვიის ჩემპიონიც კი გამხდარა.

ყურადღება! ყურადღება!

ძვირფასო ქართველო და საქართველოსთან დამეგობრებულ უცხოელ ბიზნესმენებო, უნიკალური სამკურნალო თვისებებით განთქმულ კურორტ სანიტარული ნაგებობა 2433 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი, რომელიც გამოდგება ნებისმიერი სოციალურ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ან სასტუმრო კომპლექსის ასაშენებლად. ფასი შეთანხმებით!



დაგვიკავშირდით ტელეფონზე: 599-79-76-79; 599-36-00-35; 599-53-76-16.

საქართველოს რესპუბლიკა SAKARTVELOS RESPUBLIKA კოსტავას ქ. №21 მთავარი რედაქტორი სპარტაკ ძოგულია 299-02-10 599 36-00-35 პასუხისმგებელი რედაქტორები: გურამ გომიაშვილი 599 53-76-16; ალექო ასლანიშვილი 599 56-81-86; პასუხისმგებელი მდივანი მამუკა ვაშაქიძე 514 33-33-24 გამომცემლობა: შპს „თანაღმომბა“-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79 შპს „ახალი საუკუნე - გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ იხეიფება გამომცემლობა „ქოლორ პრესში“ რკინიგზის ჩიხი №20 uac(უაკ)070.4(479.22) ს-323 ISSN 2233-3851 9 772233 385001 ავტორთა საყურადღებოდ! რედაქციის მიერ შუამდგომლობის საფუძველზე დაინიშნება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შეხატულობა, მუდამ არ ემთხვევა რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აბეზან ავტორები.

Table with 3 columns: Contact info, Subscriptions, and Advertisements.